

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებითა და ინსტრუქციებით

პრეპეუელი СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9

სამაგისტრო



საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის ბიურო-
სა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1963 წლის 18 ივნისის ერთობლივი
დადგენილება

კოჯრის № 6 საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების
შედეგების შესახებ

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ კოჯრის № 6 საბავშვო სახლის დირექციის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

არ არის შექმნილი ნორმალური პირობები აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდისა და ცხოვრებისათვის. მოუწესრიგებელი და მოუვლელი სამეცადინო ოთახები. აღსაზრდელებში არაა გამომუშაებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების მოვლა პატრონობის ელემენტარული ჩვევები. სასწავლო ოთახებში კარადები სავსეა დასვრილ-დახეული სახელმძღვანელოებითა და ჭუჭყიანი ფესხაცმელ-ტანსაცმელით.

აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა მოუწესრიგებელია, მათ მოურგებელი და ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვიათ, ზოგიერთ აღსაზრდელს შარვლებზე ქაბრის ნაცვლად კანაფი აქვს შემორტყმული. პირსაბნების ნაცვლად, ღია ცის ქვეშ, ძნელად მისადგომ ადგილზე ეხოში, დაყენებულია წყლის მილი; ამ მილთან მისვლა აღსაზრდელებს უძნელდებათ და ისინი ხელ-პირს ვერ იბანენ. ბავშვების უმრავლესობას არა აქვს კბილის ჯაგრისები და კბილის ფხენილი. 103 აღსაზრდელი მხოლოდ 2 ცალი ტუალეტის საპნით სარგებლობს. მ/წლის 1-ლ იანვრიდან დღემდე აღსაზრდელები აბანოში გატარებული არიან მხოლოდ 3-ჯერ (20 I, 3 /II და 5 VI).

შოუფელოებისა და უყურადღებობის შედეგად მ/წლის ზამთარში ადგილი ჰქონდა აღსაზრდელთა ხელ-ფეხის წაყინვის შემთხვევებს (აღსაზრდელები ა. ამირბეგოვი, ალიოხინი, კალანიჩუკი, ნაზიკოვი და სხვ.). საექიმო ეურნალში კი მოყინვის ფაქტის არც ერთი შემთხვევა არაა ფიქსირებული.

საბავშვო სახლში შემოწმების დღეს, ე. ი. 11 ივნისს, ადგილზე არ აღმოჩნდნენ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები (დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და პასუხისმგებელი მასწავლებელი); ადგილი ჰქონდა დღის რეჟიმის დარღვევას: სადილი იმყოფებოდა ვლად 13 საათისა და 40 წ. გაიცა 15 საათსა და 10 წუთზე, ე. ი. ერთი საათისა და 30 წ. დაგვიანებით.

სრულიად ჩაშლილია აღსაზრდელთა შორის წრეობრივი მუშაობა. არაა ჩამოყალიბებული სპორტული, საგნობრივი და მხატვრული წრეები. ჩამოყალიბებულია მუსიკალური წრე, რომელშიც 103 აღსაზრდელიდან გაერთიანებულია მხოლოდ 5. ზამთარსა და წვიმიან ამინდებში აღსაზრდელებს არა აქვთ გართობისა და დასვენების საშუალება, საბავშვო სახლის კლუბი კი გამოყენებულია ჩამოსაწერი ინვენტარის საწყობად. ასევე ჩაშლამდეა მიყვანილი პიონერული ორგანიზაციის მუშაობა. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე პიონერულ რაზმეულს არ ჰყავს უფროსი პიონერხელმძღვანელი და ცალკეული რაზმის ხელმძღვანელები.

საბავშვო სახლის დირექტორი დ. ჯიბლაძე ვერ იყენებს პედაგოგიური ზემოქმედების ზომებს, მათ იგი ცვლის შიშველი აღმინისტრირებით, აღმზრდელებს აძლევს მკაცრ შენიშვნებს მოსწავლეთა თანდასწრებით, ბავშვებს მუქარით მიმართავს, რამდენიმე აღსაზრდელი აცხადებს, რომ დირექტორმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ყოველივე ამის გამო აღსაზრდელთა შორის შიშის ატმოსფეროა გამეფებული.

საბავშვო სახლის დირექტორს დ. ჯიბლაძეს არ შესწევს უნარი აღმზრდელთა და აღსაზრდელთათვის შექმნას პედაგოგიურად სათანადოდ მოწესრიგებული გარემო, მან ვერ დაიმსახურა თანამშრომელთა და აღსაზრდელთა შორის საჭირო ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული, თანამშრომელთა კოლექტივის ძირითადი ნაწილი დაპირისპირებულია მისდამი.

საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. კოჯრის № 6 საბავშვო სახლის დირექტორი დ. ჯიბლაძე, რომელმაც ვერ გაართვა მუშაობას თავი, ვერ მოიპოვა ნდობა აღსაზრდელთა და თანამშრომელთა შორის, შეურაცხყოფას აყენებს აღსაზრდელებს და რომელიც, მიუხედავად გაფრთხილებისა, არ გამოცხადდა სხდომაზე საკითხის განხილვის დროს, გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან.

2. საბავშვო სახლის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისადმი შერიგებისა და სათანადო ზომების მიუღებლობისათვის

შკატრად იქნენ გაფრთხილებულნი სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე. ო. ლოლაძე, მნე მ. გასპარიანი და ექიმი ჯ. ჩანტლაძე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად სამ დღეში შეარჩიოს კოჯრის № 6 საბავშვო სახლის დირექტორის კანდიდატურა.

4. აღინიშნოს გარდაბნის სასოფლო რაიონის განათლების განყოფილებისა და საქართველოს ალკკ გარდაბნის საწარმოო კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობა კოჯრის № 6 საბავშვო სახლის მუშაობისადმი;

დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. რაზმაძეს და კომკავშირის გარდაბნის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივანს ამხ. მათიაშვილს:

ა) გადასინჯონ კოჯრის № 6 საბავშვო სახლის აღმზრდელთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა და მიმდინარე წლის 1-ლ ივლისამდე წარმოადგინონ სათანადო წინადადება;

ბ) განყოფილების 3/ მგებელი მუშაკი და კომკავშირის კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე მიამაგრონ № 6 საბავშვო სახლზე ერთი თვით პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების საზღვარგარეთის განყოფილება 1963
წლის 25 ივნისის ბრძანება № 516

ჩოხატაურის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების
შედეგების შესახებ

გავეცანი რა ჩოხატაურის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, საბავშვო სახლის მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი:

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება აღსაზრდელთა მიერ საშინაო დავალებების მომზადებას, რის გამოც, აღსაზრდელთა მომზადების დონე დაბალია. მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ არ ტარდება ეფექტური ღონისძიებები.

საბავშვო სახლში ადგილი აქვს აღსაზრდელთა ხშირ ავადმყოფობას, აღსაზრდელები დაავადებული იყვნენ ყბაყურით, ზემო სასუნთქი გზების კატარით, ანგინიტ და სხვ.

ადგილი აქვს აღსაზრდელთა საგზურების გარეშე ჩარიცხვას. საბავშვო სახლი ღარიბია მაგარი ინვენტარით, დიდი რაოდენობით აკლია სკამები და წყლის სასმელი გრაფინები, საწოლები მთლიანად შესაცვლელია და სხვ. ხმარებაში და მარაგში მყოფი რბილი ინვენტარი ერთ საწყობშია მოთავსებული.

საწყობის შემოწმებისას საწყობის გამგეს ა. კეკელიძეს დააკლდა სხვადასხვა სახის პროდუქტები 62 მანეთის და 53 კაპიკის საერთო ღირებულების (ყველი 3 კგ. მაკარონი 100 კგ და სხვ). ზედმეტი აღმოაჩნდა 20 მან. და 86 კაპ. ღირებულების პროდუქტები (კვერცხი 247 ცალი და სხვ.).

არასწორად ხდება დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების ხარჯვა და არ დგება სამეურნეო კომისიის აქტი. ასევე, არასწორად ხდება რძისა და კვერცხის შემოსავალში აღებულ არაამტკიცე კონტროლი დაწესებული პროდუქტების შემოზიდვაზე და მის ხარჯვაზე. ადგილი ჰქონდა დამხმარე მეურნეობიდან პროდუქტების თანამშრომლებზე გაცემის შემთხვევას.

აღსაზრდელები ვერ მარაგდებიან კვების პროდუქტებით და წესებული ნორმის მიხედვით; მახარადის რაიკომპკავშირის ჩონხატაურის სადაბო საბჭოს მაღაზია არ ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის დადგენილებების შესაბამისად შვო სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 22 მაისამდე აღსაზრდელებს ნორმით კუთვნილი პროდუქტებიდან დააკლდათ ხორცი 24 კგ, კარაქი 128 კგ, კარტოფილი 1828 კგ, ბოსტნეული 872 კგ, ყველი 96 კგ, კვერცხი 710 ცალი და სხვ. აღსაზრდელებს იშვიათად ეძლევათ ხილი.

საბავშვო სახლის შენობა სიძველის გამო დაზიანებულია და სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს. სასმელი წყლით საბავშვო სახლი უზრუნველყოფილი არაა.

გ ზ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და აღმზრდელთა მუშაობაზე დახმარებისა და ხელმძღვანელობის განხორციელებით უზრუნველყოს აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური მოსწრება;

ბ) სერიოზული ყურადღება მიაქციოს სამედიცინო პერსონალის მუშაობას და მათი საშუალებით უზრუნველყოს აღსაზრდელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

გ) აღკვეთოს განათლების სამინისტროს საგზურის გარეშე აღსაზრდელთა ჩარიცხვა;

დ) უზრუნველყოს საბავშვო სახლი მაგარი ინვენტარით;

ე) წესრიგი დაამყაროს პროდუქტების ხარჯვაზე, არ დაუშვას ხმარებაში და მარაგში მყოფი რბილი ინვენტარის ერთად მოთავსება და უზრუნველყოს დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების ხარჯვა არსებული წესის მიხედვით; სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს მზრუნველთა საბჭო.

ვ) ადგილობრივ ორგანიზაციებთან საკითხის დაყენებით უზრუნველყოს ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტების ათვისება;

2. სარევიზიო ჯგუფმა (ამხ. ვ. ბოკუჩავა) მიმდინარე წლის შესამე კვარტალში ჩაატაროს ჩონხატაურის საბავშვო სახლის დოკუმენტური რევიზია.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ა. ლაღუა) ადგილზე შეამოწმოს ჩონხატაურის საბავშვო სახლის შენობის მდგომარეობა და მიმდინარე წლის 10 ივლისამდე წარმოადგინოს დასკვნა.

გაფრთხილებულ იქნას საბავშვო სახლის დირექტორი აკბ.
ე. კუტუბიძე, რომ მსგავსი დარღვევების დაშვებისათვის მის მი-
მართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.
5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
ლომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1963 წლის 18 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უ. იზოლაძე

**ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
№ 518 ОТ 25 ИЮЛЯ 1963 ГОДА**

**О результатах обследования учебно-воспитательной
работы в Гангиадской школе-интернате № 2**

Ознакомившись с результатами обследования учебно-воспитательной работы в Гангиадской школе-интернате № 2 (директор Д. Норакидзе, зав. учебной частью Н. Козедубова, старший воспитатель В. Ковалев), отмечаю, что руководители и педагогический состав интерната правильно понимают новые задачи, стоящие перед ними.

В школе-интернате созданы необходимые условия для обучения и воспитания детей. Воспитанники школы-интерната обеспечены одеждой, обувью, мягким и твердым инвентарем. Внешний вид детей удовлетворителен. Медицинское обслуживание воспитанников находится в руках квалифицированного медперсонала.

Хорошо поставлена в школе-интернате воспитательная работа. Воспитатели систематически составляют планы воспитательной работы и работу проводят в соответствии с планом.

Хорошими показателями окончила школа-интернат III четверть. Из 251 аттестованного воспитанника не успевают 14 воспитанников. Имеются классы со стопроцентной успеваемостью; IV класс (препод. А. Серова, воспитатель А. Худалиева), VI б класс, (классный руководитель М. Потапенкова, воспитатель Т. Хубулава), X класс (классный руководитель Н. Белконова, воспитатель А. Дарахчян).

На должной высоте стоит в школе-интернате дело контроля и руководства за работой учителей и работа педсовета.

Однако в работе школы-интерната имеются и значительные недостатки.

Все еще слаба материальная база школы-интерната. Не созданы учебные мастерские, не полностью оборудованы учебные

кабинеты. Не ограждена территория школы-интерната, в плохом состоянии подъездные дороги к интернату. Не создан попечительский Совет, интернат не имеет шефствующую организацию. Не закончено строительство учебного корпуса (вспомогательная организация СУ 2 треста № 6), не работает центральное отопление, канализация, водопровод, не покрашены полы и др.

Указанная подрядная организация в 1962 г. не закончила строительство котельной теплотрассы и водокачки, вследствие чего школа-интернат не обеспечена питьевой водой.

Крайне плохо обстоит дело с финансированием школы-интерната. Согласно утвержденного бюджета и касплана за 5 месяцев (I-го января по 1 июня) Гудаутский райфинотдел должен был профинансировать школу-интернат на сумму 84141 руб. Однако за указанный период школой получено только 45 тыс. руб. т. е. недофинансирована суммой в 39141 руб. в результате чего школа находится в тяжелом состоянии. Зачастую нет средств на выкупку продуктов питания, затрудняются с выдачей зарплаты и т. д.

Гудаутским РОНО не предусмотрены средства на капитальный и текущий ремонт зданий школы-интерната, тогда как согласно акта и утвержденной сметы министерства просвещения Абхазской АССР требуется 18123 руб. в том числе 5806 руб. на текущий ремонт

П р и к а з ы в а ю

I. Зав. Гудаутским РОНО (тов. А. К. Лейба):

1. Принять все меры к тому, чтобы в кратчайший срок закончить все строительные работы в школе интернате;
2. Урегулировать вопрос финансирования школы-интерната;
3. До конца этого года провести все необходимые работы и обеспечить школу-интернат питьевой водой;
4. Создать попечительский совет и поставить вопрос перед вышестоящими органами о выделении интернату шефствующей организации.

II. Директору школы-интерната (тов. Д. Норакидзе):

1. Принять соответствующие меры для улучшения учебно-материальной базы школы-интерната, пополнить учебные кабинеты необходимым оборудованием;

2. Благоустроить и оградить территорию школы-интерната, привести в порядок подъездные дороги к школе-интернату.

III. Министру просвещения Абхазской АССР (г. Тарба Б. Гу):

1. Обеспечить своевременную подготовку школы-интерната к началу 1963—1964 учебного года, с этой целью изыскать средства на капитальный и текущий ремонт зданий школы-интерната;

2. До 15 октября 1963 года проверить выполнение настоящего приказа и о результатах доложить коллегии Министерства просвещения Грузинской ССР.

IV. Отделу капитального строительства Министерства просвещения Грузинской ССР (тов. А. Гадуа) подготовить письмо на имя Совета Министров Грузинской ССР о срыве строительных работ в Гантиадской школе-интернате № 2.

V. управлению школ-интернатов и детских домов проследить за выполнением настоящего приказа.

ОСНОВАНИЕ: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 18 июня 1963 г.

Зам. Министра просвещения
Грузинской ССР Уш. Уболадзе

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 3 ივლისის ბრძანება № 540

**სახელო და სახელოთაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოს-
ნოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ**

გავეცანი რა სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-სა-
წარმოო სახელოსნოების მუშაობის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ რიგ
ქალაქებსა და რაიონებში, საწარმოო ბაზის სისუსტისა ან სკოლიდან
მათი სიშორის გამო მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობე-
სების მიზნით შეიქმნა სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-
საწარმოო სახელოსნოები—სადურგლო, საზეინკლო და სამკერვალო
სამაქროებით.

სახელოსნოებისათვის სათანადო ფართობის გამოყოფისა და
ორგანიზაციის საქმეებში განათლების ორგანოებში პარტიული, საბ-
ჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო დახმარებით განა-
ხორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: ქ. ზუგდიდსა და თეთრ
წყაროში აგებული იქნა ცალკე კაპიტალური შენობები; ქ. თბი-
ლისის კალინინის, ორჯონიკიძის რაიონებში, მახარაძისა და საჩ-
ხერის რაიონებში გამოყოფილ იქნა შესაფერისი სათავსოები, მო-
ეწყო სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები სა-
თანადო სამაქროებით. ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონ-
ის სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოსათვის
გამოყოფილია სასკოლო შენობის ორი სართული, მოწყობილია
კაბინეტები სადურგლო, საზეინკლო, სამკერვალო, მერქანის პირ-
ველადი დამუშავების სამაქროები, ნედლეულისა და მზა პროდუქ-
ციის შესანახი საწყობი და სხვ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანია გატარებული სასწავლო-სა-
წარმოო სახელოსნოების სასწავლო და საწარმოო დანიშნულების
ჩარბებით, დაზგებით, ხელსაწყო-იარაღებითა და ნედლეულით მო-
მარაგების მიმართულებით. მანგლისის სასკოლათაშორისო სას-
წავლო-საწარმოო სახელოსნოს საავეჯო სამაქროში დღეი-
სათვის დამონტაჟებულია 20-მდე სხვადასხვა სახის დანადგარი.
საჩხერის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სა-
ლიკვიდაციო კომისიამ გადასცა მერქანის დასამუშავებელი ჩარჩე-
ბი, დაზგები და იარაღები.

წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა სასკოლო
ლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების
ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის საქ-
მე. სამკერვალო საამქროებისათვის სახელოსნოები იღებენ გამოქ-
რილ ნედლეულს და საამქროში ხდება მისი დაუშავება მოსწავ-
ლეთა ძალებით.

1962 წელს რესპუბლიკაში შექმნილმა 52 სასკოლო და სას-
კოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნომ, სადაც მოსწავ-
ლეთა საწარმოო სწავლებისათვის 50 მდე ცალკე სასწავლო-საწარ-
მოო საამქროა მოწყობილი, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების
საჭიროებისათვის გამოუშვა ავეჯი 128, 5 ათასი მანეთისა და სამ-
კერვალო ნაწარმი 329, 6 ათასი მანეთის რაოდენობით. სასკოლო
და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუ-
შაობის სამი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იმ სახელოსნოებ-
ში, სადაც შექმნილია ნორმალური პირობები სწავლისა და შრო-
მისათვის, მაღალ დონეზე ტარდება თეორიული და პრაქტიკული
სწავლების გაკვეთილები და სწორადაა ორგანიზებული აღმზრდე-
ლობითი მუშაობა, მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან პროფე-
სიას, ხალისით ღებულობენ მონაწილეობას პროდუქციის გამოშვე-
ბაში.

სახელოსნოების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სპეციალუ-
რი განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით, რომლებთანაც
პედაგოგიური დახელოვნების მიზნით სისტემატური მუშაობა
ტარდება. ამ მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით
ეკიდება საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური
შრომის სწორად ორგანიზების საქმეს, ზრუნავს შრომის ნაყოფიე-
რების ამაღლებაზე, გულდასმით ემზადება ყოველდღიური მუშაო-
ბისათვის, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას და მაღალ აკადე-
მიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, ასე, მაგალითად, ორჯონი-
კიძის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სახელოსნოს სამ-
კერვალო საამქროს პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლე-
ბელმა ზ. ალუღიშვილმა IX კლასის მოსწავლე გოგონებს ჯერ შეას-
წავლა ბავშვის შარვლის ცალკეული დეტალების დამუშავება, რის-
თვისაც გამოიყენა საჭირო თვალსაჩინოება, ავარჯიშა კერვის ნორ-
მების შესრულებაზე და შემდეგ გაკვეთილებზე დავალებად მისცა

შარვლის მთლიანად დამუშავება. ასევე კარგად მუშაობენ პირველი მაისის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს სამკერვალო საქმის ტექნოლოგიის მასწავლებელი ი. ასრუტიანი, საჩხერის სახელოსნოს მკერავის სპეციალობის თეორიისა და მეთოდური განხილვის მასწავლებელი ე. ანასაშვილი და სხვ.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობისა და მუშაობის საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების გამგეები ნაკლებად ზრუნავენ სახელოსნოებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და მათი მოწყობის მიზნით, რის შედეგადაც ასეთ სახელოსნოებში დაბალ დონეზე ტარდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საწარმოო სწავლება და მწარმოებლური შრომა. ასე, მაგალითად, მცირე ფართობის სათავსოა გამოყოფილი ჭ. თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძის სახელობის და მანგლისის სასკოლათაშორისო სახელოსნოებისათვის. მანგლისის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საავეჯო საამქროში მოწყობილია 10 სამუშაო ადგილი და ერთდროულად მუშაობა უხდება 14-16 მოსწავლეს.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო და საწარმოო დანიშნულების ჩარხებით, დაზგებითა და ხელსაწყო-იარაღებით მომარაგების საქმეში, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა საწარმოო სწავლებაზე, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციაზე, პროდუქციის გამოშვების ხარისხზე და გეგმის შესრულებაზე. ქ. ზუგდიდის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საავეჯო საამქროში მხოლოდ ხის სახარატო და სახერხი დაზგები დგას. ამავე სახელოსნოს საზეინკლო საამქროში, სადაც მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები მზადდება, 11 საზეინკლო გირაგია და ძალიან მცირე რაოდენობით საზეინკლო ხელსაწყო-იარაღები. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი შემოწმებულ სახელოსნოების თითქმის ყველა საზეინკლო საამქროში.

რიგ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა და მოუწესრიგებელია სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ნედლეულით მომარაგება და მზა პროდუქციის რეალიზაციის საკითხი. სახელოსნოებს სრულიად არ

ედლევათ სწავლების პირველ ეტაპზე საჭირო მასალები და არ ხდება გამოშვებულ წუნდებულ პროდუქციაზე დახარჯული მასალების ჩამოწრა. ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეებს არ ანდობენ სამუშაო ოპერაციების შესრულებას და ხშირ შემთხვევაში მათ მაყურებლის როლში გამოდიან.

პრაქტიკული საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომისათვის მოწყობილი საამქროები ძირითადად დამონტაჟებულია პრიმიტიული და ძველი ნიმუშის ჩარხებითა და დაზგებით, რაც საპროგრამო მასალის სრულყოფილად გავლისა და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას არ იძლევა. სამკერვალო საამქროებს არ გააჩნიათ მაღალი კლასისა და სპეციალური დანიშნულების მანქანები. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა საამქროებში.

უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს აქვს ადგილი თეთრიწყაროს (მ. მაილოვი) და საჩხერის (გამგე ნ. კაპანაძე) საავჯო საამქროებში, სადაც მოუწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა, დამიწებული არაა დანადგარების კორპუსები, მოუწყობელია მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებანი, მოსწავლეთათვის შედენილი არ არის სპეციალური ტანსაცმელი და სხვ. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ზუგდიდის საზეინკლო საამქროში (გამგე ვ. კოლანდარია).

ზოგადტექნიკური და პროფესიული მომზადების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ იცნობს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, სუსტად ემზადება ყოველდღიური მუშაობისათვის, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას და დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

თეთრიწყაროს მეორე საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობისა და საავჯო საქმის სპეციალობის თეორიის მასწავლებელმა გ. ავამოვმა IX კლასებში სრულიად არ ასწავლა მანქანათმცოდნეობა და მისთვის განკუთვნილი საათები მერქანის დამუშავების ტექნოლოგიის სწავლებისათვის გამოიყენა. საჩხერის II და მანგლისის რუსული საშუალო სკოლების IX კლასების მანქანათმცოდნეობის მასწავლებლებმა ი. გრძელიშვილმა და ს. სანგალოვმა ამ საგნებისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილი დრო ავტომობილის ძრავას შესწავლისათვის გამოიყენეს. ამ მხრივ დარღვევებს აქვს ადგილი თეთრიწყაროს რუსულ (მასწავლებელი შ. ვოლკოვა), მანგლისის ქართულ (მასწავლებელი გ. დავილოვა) და ქ. თბილისის 58-ე მასწავლებელი ც. გორგასლიძე) საშუალო სკოლებში. ორჯონიკი-

ძის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საზეინკლო საქმის პრაქტიკული სწავლების მასწავლებელი ა. ამაშუკელი 1963 წლის 23 მაისს უგეგმოდ გამოქვეყნდა გაკვეთილზე და 58-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე-სწავლებლები ავარჯიშა არასაპროგრამო მასალაზე—საზეინკლო მაკრატლის ნამუშადი ქლიბვაზე, რაც მოსწავლეთათვის ინტერესმოკლებულია და მოსაწყენი.

რიგ შემთხვევაში ქ. ზუგდიდის, თეთრიწყაროსა და მანგლისის სასწავლო საწარმოო სახელოსნოების ხელმძღვანელობა დაინტერესებულია პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული საწარმოო სწავლების პროგრამული მასალის გავლას და ხარისხს.

ზოგიერთ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში ადგილი აქვს IX—XI კლასების მოსწავლეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის, დაგვიანებ-სა და გაპარვის შემთხვევებს. მაგალითად, 1963 წლის 15 მაისს ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის (სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ი. ვიზელმანი) მე-9 კლასის 18 მოსწავლე გოგონადან ორჯონიკიძის სახ. რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში არ გამოცხადდა 13, 22/V—10, 14 მაისს 49-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის 17 მოსწავლე გოგონადან—9,8/IV და 23/V—7 და სხვ.

დასახელებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილების გამგე, სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ვერ ახორციელებენ ქმედით დახმარებას და კონტროლს მასწავლებლების მუშაობაზე, არ ღებულობენ დროულად ზომებს სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, წინასწარ საფუძვლიანად არ ეცნობიან მასწავლებლის მუშაობას, გაკვეთილის გეგმებს და სხვ. ასევე, სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ ახორციელებენ სახელოსნოების მუშაობაზე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეები საწარმოო სწავლების დარგში.

ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექციამ (დირექტორი გ. კორსაველი, სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ქ. ტატულაძე) კალინინის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოზე დახმარებისა და კონტროლის ნაცვლად, საზეინკლო საამქროდან, სადაც მოსწავლეები ზეინკალ-ამწყობის პროფესიას ეუფლებოდნენ, 1962 წლის ნოემბრიდან თვითნებურად მოხსნა სამი მეთე კლასის 45 მოსწავლე ვაჟი და მათ შეურჩია მხაზველი-მადეტალირებლის პრო-

ფესია, რისთვისაც სკოლაში სათანადო პირობები არაა შექმნილი, საჩხერის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ვ. მ. რიას მიმდინარე სასწავლო წელს IX კლასში მოსმენილი ქანათმცოდნეობის გაკვეთილი, სადაც მასწავლებელმა არასაპროგრამო მასალა „გაზგამანაწილებელი მექანიზმი“, რის შესახებაც სათანადო ანალიზში არაფერია ნათქვამი, ასევე ზერელე თეორიწყაროს რუსული საშუალო სკოლის დირექტორ გ. სევასტოვის მიერ მოსმენილი საწარმოო სწავლების მასწავლებელთა გაკვეთილების ანალიზებიც.

ფორმალურ ხასიათს ატარებს სახელოსნოებზე მიმაგრებული სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საწარმოო სწავლების მდგომარეობის განხილვა: თეორიწყაროს რუსული საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1962 წლის 9 ნოემბრის ოქმში, აღნიშნულია, რომ განხილული იქნა საწარმოო სწავლების მდგომარეობა, მაგრამ არაფერია ნათქვამი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებზე და მიღებული დადგენილებაც ზერელეა; ქ. ზუგდიდისა და საჩხერის მეორე საშუალო სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე საწარმოო სწავლების მდგომარეობის განხილვისას მოწვეული არ ყოფილან სახელოსნოს გამგეები და საწარმოო სწავლების მასწავლებლები.

როგ შემთხვევებში სათანადოდ არ მუშაობენ პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებები. საჩხერის II საშუალო სკოლის პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი პ. ნოზაძე) დღემდე უმოქმედოა. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი თეორიწყაროს რუსულ და ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. თბილისის კალინინის, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის სახელობის, მახარაძის, ზუგდიდის, თეორიწყაროს და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრის მიზნით:

ბ) სისტემატურად იზრუნონ სისკოლო და სასკოლათმორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო-მეტერიალური ბაზის განმტკიცებაზე;

გ) სათანადო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი დააწესონ ბრძანებაში აღნიშნულ სისტემატურ მასწავლებლებზე და მათგან ის პირნი, რომლებმაც ვერ იკონტროლებენ მუშაობას სათანადო წესით, გაათავისუფლონ სამუშაოდან.

2. კრებული.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა, კონტროლდონ და დახმარება საწარმოო სწავლების მასწავლებლებისადმი, სწავლებლების ტემატურად მოისმინონ ამ მასწავლებელთა გაკვეთილები, მოახდინონ მათი საფუძვლიანი განხილვა და შეამოწმონ მიცემულ მითითებათა შესრულება;

ბ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და საწარმოო თათბირებზე სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს მუშაებთან ერთად განიხილონ საწარმოო სწავლების მდგომარეობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) გააძლიერონ პოლიტექნიკური ციკლის საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობა და უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების საგნებს შორის კავშირის განმტკიცება.

3. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგეებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სახელოსნოებში პრაქტიკული საწარმოო სწავლებისათვის საამქროების მოწყობისა და სრულყოფისათვის; ამ საქმეში ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აგვისტოს № 533 დადგენილებით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მოსწავლეთა საწარმოო სწავლების, მწარმოებლური შრომის სწორი ორგანიზაციის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეს.

4. მომარაგებისა და დახმარე წარმოებათა სამმართველომ:

ა) გააუმჯობესოს სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის საქმე;

ბ) მიიღოს ზომები სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების თანამედროვე ტიპის ჩარხებით უზრუნველყოფის შესახებ.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ უზრუნველყოს სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები საწარმოო ხასიათის ჩარხების და მანქანების შესაძენად საჭირო დაფინანსებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების
განათლების განყოფილებათა გამგეებმა განიხილონ ეს ბრძანება
კოლეგებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და
მიიღონ ზომები სასკოლო და სასკოლათაშორისო სახელოსნოების
მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963
წლის 16 ივლისის ბრძანება № 586

საგაზაფხულო გამოცდების შედეგების შეხახებ საქართველოს სსრ
სკოლებში

გავეცანი რა საგაზაფხულო გამოცდების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოსწავლებიან, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები ძირითადად ორგანიზებულად და დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ამ მხრივ გამოირჩევიან ქალაქები თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი და ხაშურის, გვეგვიკორის, მახარაძის, გორჩის, თელავისა და სხვა რაიონები.

მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში აღდგენილ იქნა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

წინა წლებთან შედარებით, წელს რესპუბლიკის სკოლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ გამოცდებისათვის მზადების საქმეს. მოსწავლეთა უმრავლესობა მტკიცე ცოდნას აჩვენებდა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და სხვა საგნებში.

კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების შემოღებამ დადებითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე, გაზარდა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

გამოცდების პერიოდში მეოთხედურ და წლიურ შეფასებებთან შედარებით უფრო მაღალ წარმატებებს მიაღწიეს ქ. თბილისის მე-4, 23-ე, 24-ე, 77-ე, 88-ე და სხვა საშუალო სკოლებმა.

გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგად 88-ე საშუალო სკოლის I—IV კლასების ყველა 238 მოსწავლემ ქართულ ენაში დადებითი ნიშანი მიიღო: „5“-სა და „4“-ზე შეფასდა 148,

ხოლო „3“-ზე 90 მოსწავლე; არითმეტიკაში „5“-სა და „4“-ზე შეფასდა 142, „3“-ზე—96 მოსწავლე და ა. შ.

77-ე საშუალო სკოლაში გამოცდებზე დაშვებული 552 მოსწავლიდან შემდეგ კლასში გადავიდა ან სკოლა დაამთავრა მოსწავლემ.

გამოცდებმა დაადასტურა, რომ არსებითად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი იმ სკოლებშიც, რომელთა ოქროსა და ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულებმა 1961-1962 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს არაღამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურეს. მაგალითად, ყვარლის რაიონის ოციოს, ლაგოდნის, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სხვა სკოლებში, ადგილობრივი ორგანოების მიერ სათანადო ღონისძიებების გატარების შედეგად, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა გამოცდების დროს დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს.

ამასთანავე საგაზაფხულო გამოცდების დროს სკოლებში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დროს ცაგერის რაიონის სოფ. ალბანის, მიაკოესკის რაიონის შუაგორის, დუშეთის რაიონის მღეთის, წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მიაკოესკის რაიონის შუაგორის საშუალო სკოლის XI კლასის 18 მოსწავლიდან ქართულ ლიტერატურაში ნიშან „2“-ზე შეფასდა 7 მოსწავლის წერთი ნამუშევარი, ხოლო 11-ისა „3“-ზე.

არაღამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს სოფ. აკაურთას, ყვარლის რვაწლიანი და მუშა ახალგაზრდობის, დუშეთის რაიონის სოფ. ვალაგანის, მიაკოესკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა. ბოლნისის რაიონის სოფ. აკაურთას საშუალო სკოლის მე-8 კლასის ყველა 8 მოსწავლის წერთი ნამუშევარი მათემატიკაში ნიშან „2“-ზე შეფასდა.

სამტრედიის რაიონის სოფ. კორმალის, დუშეთის რაიონის კომორტისა და ფასანაურის, ბოლნისის რაიონის კაჩაგანის, ბიდარისა და ყიზილარის საშუალო სკოლებში ადგილი ჰქონდა მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად დადგენის შემთხვევებს. დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურის საშუალო სკოლის X კლასის ორი მოსწავლე მეოთხე მეოთხედის მანძილზე საკლასო ჟურნალის მიხედვით არც ერთხელ არ ყოფილა ისტორიაში გამოკითხული, მაგრამ მეოთხედის ბოლოს შეფასებულია ნიშან „3“-

ზე; X კლასის 27 მოსწავლიდან მესამე მეოთხედის განმავლობაში
ლიტერატურაში შეფასებულია მხოლოდ 7 მოსწავლე, მეოთხედის/
ბოლოს კი ყველა მოსწავლეს დაეწერა დამაკმაყოფილებელი ნაქონი
შანი.

შენიშვნა

ქობორტის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა ვ. წიკლაურმა მეოთხე მეოთხედში მოსწავლე ე—ტის სამჯერ გამოკითხა გაკვეთილი და შეაფასა ნიშან „2“-ზე, მაგრამ მეოთხე მეოთხედსა და წლის ბოლოს ნიშანი „3“ დაუწერა.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) გულდასმით შეისწავლონ 1962-1963 სასწავლო წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგები და დასახონ საჭირო ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბ) სათანადო კონტროლი დააწესონ საშემოდგომო გამოცდების ჩატარებაზე და გააძლიერონ მეთვალყურეობა იმ სკოლების მიმართ, სადაც გამოცდების პერიოდში ადგილი ჰქონდა საგამოცდო ინსტრუქციისა და მოსწავლეთა შეფასების ნორმების დარღვევას;

გ) განსაკუთრებით შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ სკოლებში, სადაც გამოცდების დროს გამომჟღავნდა მოსწავლეთა დაბალი აკადემიური წარმატება და მიიღონ ვადამჭრელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) განახორციელოს საჭირო კონტროლი საშემოდგომო გამოცდების ჩატარებაზე განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომლებშიც საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე გამომჟღავნდა;

ბ) შეამოწმოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ რაიონების სკოლებში; სადაც გამოცდების დროს გამოაშკარავდა მოსწავლეთა წარმატების დაბალი დონე და ადგილი ჰქონდა ცოდნის ლიბერალურ შეფასებას;

გ) მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში შეამოწმოს ბოლნისის რაიონის სოფ. აკაურთას საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახოს ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დ) შეისწავლოს 1962-1963 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისწავლა გამოცდებზე ჩაბარების შედეგები და მის შესახებ მოახსენოს კოლეგიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



აზხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებებს

ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩატარების შესახებ შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო განმარტავს, რომ 1963-1964 სასწავლო წლიდან სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლება ჩატარდება შემდეგი წესით: ა) I—VIII კლასების მოსწავლე გოგონები და ვაჟები ფიზიკურ კულტურაში იმეცადინებენ ერთად, ბ) საშუალო სკოლების IX—X—XI კლასების მოსწავლე გოგონებისა და ვაჟების ცალკე მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში ჩატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ IX—X—XI კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს და თითოეულ კლასში იქნება არანაკლები 8 მოსწავლე გოგონა ან ვაჟი. ასეთ შემთხვევაში კლასი იყოფა და გაკვეთილი ცალ-ცალკე მიმდინარეობს.

2. როცა კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 26-ზე ნაკლებია, ან გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა ცალ-ცალკე 8-ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში მოსწავლე გოგონები და ვაჟები ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობენ ერთად და გაკვეთილი მიჰყავს ერთ მასწავლებელს.

3. ფიზიკურ კულტურაში პარალელური კლასების გაერთიანებამ დადებითი შედეგი არ მოგვცა, ამიტომ 1963-64 სასწავლო წლიდან არ შეიძლება პარალელური კლასების გაერთიანება.

4. ფაკულტატური მეცადინეობა უნდა ჩატარდეს ქალაქისა და სოფლის საშუალო საწარმოოსწავლებლიანი სკოლების IX—X—XI კლასების მოსწავლეებთან იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ კლასებში ამ მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების ჯამის 1/3 დაეთმოს სპორტს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 29^ა/VIII № 1/1335 მითითება „სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლების შესახებ“ ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უშ. ოზოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 30 ივლისის ბრძანება № 639

1963 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილებების შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1963 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და უმაღლესი პედაგოგიურ სასწავლებლის მუშაკებთან ერთად ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფ უმაღლესი განათლების მქონე 1800-ზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტიდან სამუშაოზე განაწილდა 1686, მათ შორის დაწყებით კლასებში 321. დარჩენილი ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება გრძელდება.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილებზე დამაგრების მიზნით,
გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ:

ა) მათ განკარგულებაში მივლინებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა დაამთავრონ მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე;

ბ) მიიღონ ზომები სამუშაოზე ახლად დანიშნული ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დროულად გამოცხადებისათვის,

და უზრუნველყონ თითოეულ მათგანი ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით.

2. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებების გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე ორგანიზებულად მოაწყონ შეხვედრა დამწყებ მასწავლებლებთან და გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები;

ბ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროული გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

გ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელი თითო მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკები და სკოლებში მომუშავე დახელოვნებული მასწავლებლები;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით;

ე) მიღონ საჭირო ზომები, რათა სოფლად მივლინებული მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ უფასო ბინით, უფასო გათბობითა და განათებით;

ვ) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული, დაწყებითი განათლების ფაქულტეტის კურსდამთავრებული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ.

ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტის და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ.

ამავე რიცხვისათვის გადმოგზავნონ მათ სამუშაოზე გამოცხად-

დებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური;

გ) რადგანაც ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი, ვაღ-დებულია მუშაობდეს ადგილზე არა ნაკლებ სამი წლისა, ახალგაზრდა გამონაკლისისა (მძიმე ოჯახური პირობები, გათხოვების გამო საც-ხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვა), არ დასვან საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

დ) იმის გამო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის დადგენილების საფუძველზე ახალგაზრდა სპეციალისტებს უმაღლესი სასწავლებ-ლის დამთავრების დიპლომი მიეცემა ადგილზე ერთი წლის მუშა-ობის შემდეგ, დროებითი მოწმობის ან დიპლომის წარდგენამდე ისინი სამუშაოზე დაუშვან საქართველოს სსრ განათლების სამი-ნისტროს საგზურით.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლე-სი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ნ. ჭახრაკია) დაავალოს უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორებს უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეცია-ლისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადება.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავროს დარჩენილი ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილება;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შე-დეგები მომახსენოს პერიოდულად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 26 ივლისის დადგენი-ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უ.შ. ოზოლაძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რაიონის, ქალაქის, ოლქის სახალხო განათლების განყოფილების, ასსრ განათლების სამინისტროებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ

1. საბჭოთა კავშირის კბ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის პროგრამის, სკოლის შესახებ კანონისა და პარტიულ-სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების შესახებ პარტიის მითითებათა განხორციელებისათვის განათლების დარგში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო განათლების მდგომარეობის სისტემატურად და ღრმად შესწავლას, მოწინავე გამოცდილების შემოქმედებითს დანერგვას და მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში სკოლის, სხვა საბავშვო დაწესებულებებისა და განათლების ორგანოების მუშაკებისადმი ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევას.

2. ამ ამოცანების შესრულებისა და ყველა ტიპის სკოლების, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებებისა და განათლების განყოფილებების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებისათვის, რაიონის, ქალაქისა და ოლქის განათლების განყოფილებებთან, ასსრ განათლების სამინისტროებთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან იქმნება საზოგადოებრივ ინსპექტორთა ჯგუფები.

3. საზოგადოებრივ ინსპექტორებად შერჩეულ უნდა იქნან ყველა ტიპის სკოლების, მისი ფილიალების, პედაგოგიური ინსტიტუტების, პედაგოგიური სასწავლებლებისა და პენსიაზე მყოფი გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა მუშაკები.

4. საზოგადოებრივი ინსპექტორები წამოყენებული უნდა იქნან სკოლების, სკოლამდელი, სკოლის გარეშე და სხვა დაწესებულებების მასწავლებელთა და მუშაკთა საერთო კრებებზე, მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებების, მასწავლებელთა დახელოვ-

ნების ინსტიტუტის, მისი ფილიალების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების საბჭოების სხდომებზე, აგრეთვე, პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საზოგადოებრივ ინსპექტორებს უმეტესწილად სახალხო განათლების შესაბამისი განყოფილებები, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ ინსპექტორებს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად.

5. საზოგადოებრივი ინსპექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) სკოლის, სკოლის გარეშე დაწესებულებების, საბავშვო ბაღების და სახალხო განათლების ორგანოების მიერ პარტიისა და შთაფრობის დადგენილებების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება;

ბ) კონტროლის დაწესება ბავშვთა კომუნისტურად აღზრდისა და სწავლების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებაზე, სკოლებსა და სახალხო განათლების სხვა ორგანოებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ბავშვთა რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო და მუშა ახალგაზრდობის სწავლებაზე;

გ) აღზრდისა და სწავლების საქმეში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებისა და უფრო ეფექტური მეთოდების, ხერხებისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების შესწავლა და დანერგვა, აგრეთვე, ხელმძღვანელების, მასწავლებლების, აღმზრდელებისა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკებისათვის მუშაობაში პრაქტიკული დახმარების გაწევა.

6. საზოგადოებრივ ინსპექტორს უფლება აქვს:

ა) მივიდეს სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, დაესწროს სასწავლო, აღმზრდელობით და კლასგარეშე მეცადინეობებს; შეისწავლოს მოსწავლეთა წერიითი და სხვა ნამუშევრები; შეამოწმოს მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ხარისხი; დაესწროს პედაგოგიური საბჭოების, მეთოდური გაერთიანებების, საწარმოო თათბირებისა და განათლების საბჭოების სხდომებს და მიიღოს მათ მუშაობაში მონაწილეობა.

ბ) გაეცნოს სკოლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწე-

სებულელების, განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური
ბინეტების დოკუმენტაციას.

გ) გააკეთოს დასკვნები და შეიტანოს წინადადებანი
ულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სახალხო განათლების
ზემდგომ ორგანოებში: სკოლის, სკოლამდელი, სკოლის გარეშე
დაწესებულებების და სახალხო განათლების განყოფილებების მუ-
შაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საზოგადო-
ებრივი ინსპექტორები, ასრულებენ რა სამინისტროს სამმართველო-
განყოფილებების დავალებებს, მუშაობას წარმართავენ ამ უკანას-
კნელთა ხელმძღვანელობით. საზოგადოებრივ ინსპექტორს დავა-
ლებები ეძლევა ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მას ძირითად სამუ-
შაო გეგმების შესრულებაში. სასოფლო რაიონის საზოგადოებრივი
ინსპექტორები, როგორც წესი, კონტროლსა და პრაქტიკულ დახ-
მარებას უწივენ რაიონის უახლოეს სკოლებსა და სხვა საბავშვო
დაწესებულებებს.

8. სახალხო განათლების სათანადო ორგანოები და პროფკავ-
შირის კომიტეტები ინსტრუქტაჟისა და მუშაობის გამოცდილების
გაზიარებისათვის აწყობენ საზოგადოებრივი ინსპექტორების პერიო-
დულ შეკრებებს, საზოგადოებრივ ინსპექტორებს ხელზე ეძლევათ
დადგენილი ნიმუშის პირადობის მოწმობა ერთი წლის ვადით,
დროის შემდგომი გახანგრძლივების შესაძლებლობით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართ-
ველოს რესპუბლიკური კომიტე-
ტის თავ-რე

26 ივლისი 1963 წ.

ლ. მალლაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963
წლის 12 აპრილის ბრძანება № 692

ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმო-
სწავლებლიანი საშუალო სკოლის დებულებაში ნაწილობრივი
ცვლილებების შეტანის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარ-
მოსწავლებლიანი საშუალო სკოლის დებულებაში შეტანილ იქნას
შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. მე-3 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„8. მოსწავლეების პროფესიული სწავლებისა და მწარმოებ-
ლური შრომისათვის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი
პოლიტექნიკური საწარმოსწავლებლიანი საშუალო სკოლა, საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ემაგრება გარ-
კვეულ სამრეწველო საწარმოს, სამშენებლო, სატრანსპორტო ან
სხვა ორგანიზაციას.“

დასაშვებია რამდენიმე სკოლის მიმაგრება ერთ მსხვილ სა-
წარმოსა ან ორგანიზაციაზე, აგრეთვე ერთი სკოლისა—რამდენიმე
საწარმოსა ან ორგანიზაციაზე.“

2. მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლება ხორცი-
ელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსა-
განმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოსწავლებლიანი
საშუალო სკოლის დებულების შესაბამისად“.

3. მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი:

„სკოლებს უფლება ეძლევათ საწარმოებსა, დაწესებულებებსა
და ორგანიზაციებთან ერთად შეადგინონ პროგრამები არა მასო-
ბრივ პროფესიებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ტიპობრივი პროგრამების საფუძველზე, აგრეთვე შეიტანონ საჭი-
რო ცვლილებები პროფესიული მომზადების მასობრივი და ძირი-
თადი პროფესიების პროგრამებში ადგილობრივი პირობების გათ-

ვალისწინებით, თუ ეს ცვლილებები შეესაბამება მოქმედ საბავშვო-ფო-საკვალიფიკაციო ცნობარს და არ ამცირებს პროფესიული მომზადების საერთო მოცულობას შესაბამის სპეციალობებში.

4. მე-11 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„11. საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის მოსწავლეების მოსამზადებლად IX, X და XI კლასებში სასწავლო დროის ორი მესამედი ეთმობა ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური საგნების შესწავლას და ერთი მესამედი—მოსწავლეთა საქარმოო სწავლებასა და მწარმოებლურ შრომას“.

„13. ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოსწავლებიანი საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული მომზადება ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების გზით, რაც ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ მტკიცე ცოდნისა და ჩვევების დაუფლებას მათ მიერ შერჩეულ სპეციალობებში“.

საწარმოო სწავლება ტარდება სამი წლის მანძილზე (IX-XI კლასებში), როგორც წესი ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი—პირველდაწყებითი საწარმოო სწავლება სასწავლო საწარმოებში, საწარმოთა სასწავლო მაღებსა და უბნებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოსწავლეთა ბრიგადებში;

მეორე ეტაპზე საწარმოო სწავლების დამთავრება შესწავლილ სპეციალობებში ხორციელდება უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, კულტურისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

საწარმოო სწავლება პირველ და მეორე ეტაპზე ხორციელდება მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლურ შრომაში აქტიური და სისტემატური მონაწილეობით.

პირველდაწყებითი საწარმოო სწავლების დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ შესამოწმებელ სამუშაოებს (სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა ფარგლებში) დამოუკიდებელ სამუშაოზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად.

საწარმოო სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ XI კლასის მოსწავლეები აბარებენ შესწავლილ პროფესიაში საკვა-

ლიფიკაციო გამოცდებს, რაც შეიცავს საკვალიფიკაციო და თეორიული ცოდნის შემოწმებას.

საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პრაქტიკულ ში მოსწავლეებს უმუშავდებათ ჩვევები, რომლებიც საჭიროა ნამედროვე სოციალისტურ წარმოებაში: შრომის მაღალი კულტურა და შეგნებული შრომითი დისციპლინა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელი ზრდისადმი მისწრაფება, კოლექტივში შრომისა და დასახული მიზნის განხორციელების უნარი*.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ ზემოთ აღნიშნული და დაიყვანონ იგი საშუალო სკოლების დირექტორებამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 12 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963
წლის 5 სექტემბრის ბრძანება № 781

ქ. თბილისის სკოლებში უცხო ენების სწავლების საკითხის მო-
წესრიგების შესახებ

ქ. თბილისის სკოლებში უცხო ენების სწავლების საკითხის მო-
წესრიგების მიზნით ვბრძანებ:

უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი
ორგანოების დადგენილებების შესაბამისად ახალი, 1963—64 სას-
წავლო წლიდან ქ. თბილისის სკოლების V კლასებში შემოღებულ
იქნას შემდეგი უცხო ენების სწავლება

ა) ინგლისური ენისა: ლენინის სახ. რაიონის № 2, 8, 9, 11,
14, 15, 113, 114 სკოლებში;

1-ლი მაისის სახ. რაიონის 17, 20, 21, 24, 28, 100, 101,
115, 116 სკოლებში;

ოქტომბრის რაიონის—30, 31, 34, 37 სკოლებში;

კალინინის რაიონის—1, 43, 47, 48 სკოლებში;

ორჯონიკიძის რაიონის—49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 57, 59

62-ე სკოლებში და IV სკოლა-ინტერნატში;

კიროვის რაიონის—66, 68, 75 სკოლებში;

26 კომისრის სახ. რაიონის—77, 78, 80, 85, 86, 89, 95, 96,
99, 111, 117, 122, 125 სკოლებსა და VI სკოლა-ინტერნატში.

ბ) გერმანული ენისა: ლენინის სახ. რაიონის 3, 4, 5, 6, 7,
16, 112, 118, 119, 120 სკოლებში;

1-ლი მაისის სახ. რაიონის—19, 22, 27, 29 სკოლებში;

ოქტომბრის სახ. რაიონის—26, 33, 36 სკოლებში;

კალინინის სახ. რაიონის—41, 42, 45, 46 სკოლებში;


ორჯონიკიძის სახ. რაიონის—56, 58, 60, 61, 64 და გახან-

გრი. დღის № 1 სკოლებში;

კიროვის სახ. რაიონის—65, 67, 69, 70, 71, 72 სკოლებში;

26 კომისრის სახ. რაიონის—76, 79, 81, 82, 84, 87, 90, 93,
97, 103, 107, 109, 110 სკოლებში;

გ) ფრანგული ენისა: ლენინის სახ. რაიონის 10, 12, 13 სკოლებში და V სკოლა ინტერნატში;

1-ლი მაისის რაიონის—18, 25, 35, და გახანგრძ. დღის სკოლებში;  № 2
სკოლებში;

ოქტომბრის რაიონის—23, 32, 38 სკოლებში;

კალინინის რაიონის—39, 40, 44 სკოლებში;

ორჯონიკიძის რაიონის—63, 102, 123, 126 სკოლებში;

კიროვის რაიონის—73, 74, 104, სკოლებში;

26 კომისრის რაიონის—88, 91, 92, 94, 98 სკოლებში;

2. ნება დაერთოს თბილისის განათლების განყოფილებას მე-4, 10, 25, 29, 32, 35, 56, 60, 61, 62, 126 სკოლების მეხუთე კლასების პარალელებიდან თითო კლასში დამატებით შემოიღოს მეორე უცხო ენის სწავლება.

3. 26 კომისრის სახ. რაიონის 83-ე და 106-ე სკოლებში დარჩეს ინგლისური და გერმანული ენის სწავლება.

4. კატეგორიულად აეკრძალოს განათლების განყოფილებათა გამგეებსა და სკოლების დირექტორებს განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე ახალი უცხო ენის სწავლების შემოღება.

5. ლენინის სახ. რაიონის მე-12 სკოლაში II კლასიდან შემოღებულ იქნას ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლება, ხოლო ორჯონიკიძის სახ. რაიონის 126 ე სკოლის ერთ II კლასში შემოღებულ იქნას ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 27 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ინგლისური ენის პროგრამა

ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლებისათვის
(II—XI კლასები)

განმარტებითი ბარათი

ამემად, როდესაც იზრდება და ფართოვდება ურთიერთკავშირი ჩვენს ქვეყანასა და სხვა ქვეყნებს შორის, სახელმწიფოს ესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომლებიც თავისუფლად ფლობენ უცხო ენებს და შესძლებენ სკოლის დამთავრების შემდეგ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში თავისი ცოდნის გამოყენებას.

ისეთ სკოლებში, სადაც რიგი საგნების სწავლება უცხო ენაზე სწარმოებს, ენის სწავლების მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მომზადდნენ მოსწავლეები, რომლებიც თავისუფლად დაეუფლებიან ერთ უცხო ენას, საკმაოდ ღრმად გაეცნობიან ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიას, გეოგრაფიას, პოლიტიკურ წყობას, და ასევე მის ლიტერატურასა და კულტურას.

სკოლაში მთელი რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლების შედეგად მოსწავლეებმა უნდა შესძლონ:

1. უცხო ენაზე თავიანთი აზრის თავისუფლად გამოთქმა, წინასწარ მოუშადადებლად საუბრის ჩატარება, უცხო ენაზე მოხსენებების გაკეთება და ამავე დროს დიალექტური გადახრების გარეშე მოლაპარაკე უცხოელის საუბრის არსის გაგება.

2. ლექსიკონის დაუხმარებლად წაიკითხონ და გაიგონ თანამედროვე, სტილისტურად აბრართული ტექსტები, სამეცნიერო პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

3. ლექსიკონებისა და განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით წაიკითხვა, გაგება და წერილობით თარგმნა ლიტერატურული ნაწარმოების ორიგინალისა, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტექსტებისა.

4. მშობლიურ და უცხო ენებზე ზოგიერთი წყაროების დამოუკიდებლად შესწავლის შედეგად რეფერატის უცხო ენაზე შედგენა.

5. თარჯიმნობა ორი პირის ურთიერთ საუბრისას, რომელიც დაახლოებით შესწავლილ თემებს შეეხება.

იმისათვის, რათა მოსწავლეები წარმატებით დაეუფლონ თარჯიმნობას, საჭიროა მჭიდრო ურთიერთკავშირი ენაში სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებისას. მიზანშეწონილია საათების საერთო რაოდენობიდან გამოიყოს რამდენიმე საათი ზოგიერთი სახის ენობრივი სამუშაოებისათვის. მაგ., იმ საათების რაოდენობიდან, რომელიც განკუთვნილია ენის შესასწავლად, გამოიყოფა საათები სპეციალიზირებული სალაპარაკო პრაქტიკისათვის, შესასწავლი ენის ქვეყნების ლიტერატურაში სამეცადინოდ და ასევე სკოლაში არსებული საწარმოო სწავლების შესაბამისი ტექნიკური შინაარსის ლიტერატურის ზეპირი და წერილობითი თარგმნისათვის.

ზეპირ მეტყველებისათვის სპეციალური საათების გამოყოფა არ ნიშნავს იმას, რომ სხვა მეცადინეობის დროს ის სრულიად უნდა გამოვითხოთ. ზეპირი ფარჯიში წამყვან როლს ასრულებს ენაში ყველა სახის მეცადინეობისას. სპეციალური საათების გამოყოფა იძლევა საშუალებას შეიქმნას უფრო კარგი პირობები ზეპირი მეტყველების გასაფართოებლად, მაგ., უმცროს კლასებში სხვადასხვა სახის მოძრავი თამაშობანი, ინსცენირებისათვის მზადება, სიმღერების შესწავლა ტექნიკური საშუალებების (პატეფონის, ლინგაფონის, ალოსკოპის) გამოყენება. უფროს კლასებში ექსკურსიების მოწყობა, კინოსურათების ნახვა, დისპუტები, კონფერენციები და სხვ.

მეექვსე კლასიდან თარგმნისათვის სპეციალური საათების გამოყოფა მიზნად ისახავს, რომ გააადვილოს დამოუკიდებელი მუშაობა შედარებით უფრო რთული ტექსტების თარგმნისას, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება უცხო ენაზე ისტორიის, გეოგრაფიის და ლიტერატურის შესწავლისას. ამავე დროს უნდა მოვამზადოთ მოსწავლეები ისე, რომ მათ შესძლონ ორენოვანი განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება და ტექსტების ზუსტი გაგება.

უცხო ენის სწავლების ყველა ეტაპზე მეცადინეობა ძირითადად უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლეების მიერ ზეპირმეტყველებაში სხვადასხვა სახის სავარჯიშოების შესრულებით.

მეცადინეობა ლექსიკაში, გრამატიკასა და ფონეტიკაში უნდა ექვემდებარებოდეს ზეპირმეტყველების დაუფლების ამოცანებს. ამიტომ ენობრივი მასალის შეთვისება და განმტკიცება უნდა მოხდეს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში.



ზეპირმეტყველების დაუფლებისათვის საჭიროა სწავლების პირველივე წელს მივაჩვიოთ მოსწავლეები თარგმნის გარეშე გონ და გამოიყენონ ზეპირმეტყველებაში ის მასალა, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამით, ე. ი. ვასწავლოთ მათ უცხო ენაზე აზროვნება. ამისათვის აუცილებელია მეორე კლასში I მეოთხედის ბოლოსათვის გაკვეთილი ტარდებოდეს მხოლოდ უცხო ენაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა საჭიროა ისეთი ახალი გრამატიკული ან ლექსიკური მასალის ახსნა, რომლის მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია თვალსაჩინო მასალის ან კონტექსტის საფუძველზე.

უცხო ენაზე გაკვეთილის ჩატარებისას მასწავლებელმა ძირითადად უკვე შესწავლილი მასალა უნდა გამოიყენოს; უმცროს კლასებში მას შეუძლია თავის მეტყველებაში გამოიყენოს ისეთი გამოთქმები, გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები, რომელიც საჭიროა გაკვეთილის უცხო ენაზე ჩატარებისათვის, მაგრამ ამ კლასში შესასწავლ მასალას არ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ პირველი სამი წლის მანძილზე მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს თავის გამოთქმაზე, არ დაუშვას დიალექტური გადახრები და მიიღწიოს მყარ გამოთქმას, ე. ი. არ მისცეს ერთი და იგივე ბგერის სხვადასხვა ვარიანტი.

სწავლების დასაწყისიდანვე მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ილაპარაკოს ნორმალურ (და არა ნელ) ტემპში, შესასწავლი უცხო ენის რითმული ნორმების მკაცრად დაცვით.

ზეპირმეტყველების განვითარებისათვის რეკომენდებულია დიალოგების, მოსწავლეთათვის გასაგები მხატვრული ლიტერატურის, ლექსების და პროზაული ნაწყვეტების დაზეპირება.

სწავლების დაწყებიდანვე ზეპირმეტყველების განვითარების აუცილებლობა მოითხოვს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის სწორ შეფარდებას სწავლების პირველ და მეორე წელს.

ზეპირმეტყველების სწავლება წინ უნდა უსწრებდეს კითხვას და წერას. ენის შესწავლის დაწყებით ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია თავის შეხედულებისამებრ ჩაატაროს მხოლოდ ზეპირმეტყველების კურსი, რომელიც საშუალებას იძლევა გავამახვილოთ მთელი ყურადღება მოსწავლეებში ზეპირმეტყველების ჩვევებისა და სწორი გამოთქმის გამომუშავებაზე.

ამ კურსის ძირითად შინაარსს უნდა წარმოადგენდეს კარგად მოფიქრებული სავარჯიშოთა სისტემა ზეპირმეტყველებაში, რომე-

ლიც უზრუნველყოფს უფრო დიდი რაოდენობით სიტყვებისა და გამოთქმების შეთვისებას, ვიდრე ეს შესაძლებელია ზეპირმოთქმის, კითხვისა და წერის ერთდოულად სწავლებისას, და აგრეთვე შეთვისებული ლექსიკისა და გრამატიკის აქტიურ გამოყენებაში.

შემდგომ კლასებში სახელმძღვანელოს ტექსტების წაკითხვას წინ უნდა უსწრებდეს შესატყვისი ენობრივი მასალის ზეპირი დამუშავება, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალის და ხმოვანი ტექნიკური საშუალებების ფართო გამოყენებით.

კ ი თ ხ ვ ა

ამ ტიპის სკოლაში კითხვის სწავლების მთავარი ამოცანაა შევასწავლოთ მოსწავლეებს ლექსიკონის გამოყენების გარეშე სტილისტურად არაართული სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურიდან ამოღებული ახალი ცნობების შემცველი ტექსტების ზუსტი გაგება.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენებით ნებისმიერი ორიგინალური, მათ შორის ისეთი ტექნიკური ტექსტების წაკითხვა და გაგება, რომლებიც დაკავშირებულია მათი საწარმოო სწავლების პროფილთან.

კითხვის სწავლების შედეგად მოსწავლეებმა უნდა შეძლონ შესასწავლ ენაზე არსებული ლიტერატურის გამოყენება თავიანთი ზოგადი და პოლიტექნიკური მსოფლმხედველობის გასათართობლად და შესასწავლი ენის ქვეყნების ხალხთა ცხოვრებისა და კულტურის შესახებ ახალი ცნობების შესაძენად.

საკითხავ მასალად უნდა იყოს გამოყენებული არა მარტო სახელმძღვანელოში ან სპეციალურად დამოუკიდებელი კითხვისათვის გამოშვებულ წიგნებში მოცემული ტექსტები, არამედ თანამედროვე პროგრესული მწერლების ცალკეული ნაწარმოებები, სტატიები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, აგრეთვე ნაწყვეტები კლასიკური ლიტერატურიდან შესასწავლი ენის ქვეყნის ლიტერატურის შესწავლასთან დაკავშირებით.

საკითხავი ტექსტები უნდა აშუქებდეს როგორც საბჭოთა თემატიკას, ისე შესასწავლი ენის ქვეყნის ცხოვრებას, ზნეჩვეულებებს, კულტურას, გეოგრაფიასა და ისტორიას. ისინი უნდა შეიცავდეს ისეთ ლექსიკას და სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც გამოყენებულია თანამედროვე უცხო ენაში.

იმ სკოლებში, სადაც რიგი საგნებისა უცხო ენაზე ისწავლება, ენის სწავლების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე მათთვის თი მეტყველების სწავლება.

ამ ტიპის სკოლის მოსწავლეებს სწავლების კურსის ბოლოსათვის უნდა შეეძლოთ უცხო ენაზე საქმიანი წერილის (განცხადება, ოქმი, მოთხოვნა, მოწვევა და სხვ.) და რეფერატის დაწერა იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მათ დამოუკიდებლად აქვთ შესწავლილი უცხო და მშობლიურ ენებზე.

ამავე დროს წერა ენის დაუფლების მნიშვნელოვანი საშუალებაა, იგი ხელს უწყობს ენობრივი მასალის მტკიცედ შეთვისებას, ზეპირმეტყველების ცოდნა ჩვევების განვითარებას. უცხო ენის შესწავლის პირველ ეტაპზე წერის სწავლების ამოცანას შეადგენს კალიგრაფიისა და ელემენტარული ორთოგრაფიის დაუფლება, ამიტომ ამ ეტაპზე წერითი მეტყველება რამდენადმე ჩამორჩება მასალით ზეპირმეტყველებასა და კითხვებს. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა მიერ შესასწავლ ენაზე თავიანთი აზრის წერილობით გამოხატვას.

თ ა რ გ მ ნ ა

იმ სკოლებში, სადაც რიგი საგნები უცხო ენაზე ისწავლება, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უცხო ენიდან დედაენაზე და დედაენიდან უცხო ენაზე თარგმნის სწავლება.

სწავლების ბოლოსათვის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ თარგმნობა ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბრის დროს, წერილობით თარგმნა ახალი ცნობების შემცველი ორიგინალური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ პოპულარული ტექსტების ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების დახმარებით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, VI კლასიდან გამოიყოფა სპეციალური გაკვეთილები, რომლებიც განეკუთვნება თარგმნის სწავლებას.

ამ მეცადინეობის პროცესში მოსწავლეები უნდა გაეცნონ ორენოვან და განმარტებით ლექსიკონებს, უნდა ისწავლონ მათი გამოყენება ტექსტზე მუშაობისას.

VIII კლასში რეკომენდებულია მოსწავლეები გაეცნონ ზოგიერთ ცნობას თარგმნის თეორიიდან: თარგმნის დროს მეტყველების ერთი ნაწილის მეორეთი შეცვლა, ტერმინების, შემოკლებული ფორმების და სხვ. თარგმნა. ამ ცნობებმა უნდა დაანახონ მოსწავ-

ლებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პოპულარული ტექსტების თარგმნის სპეციფიკა, ხელი შეუწყონ თარგმნის ხერხების ფორმირებას, რის გამოც ისინი შეეთვისებულ უნდა იქნას მხოლოდ პრაქტიკულად.

თარგმნის სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ვარჯიშმა ზეპირად თარგმნაში. ეს სავარჯიშოები წარმოადგენენ ლექსიკასა და გრამატიკაში მიღებული ცოდნის განმტკიცების საშუალებას. X—XI კლასებში საჭიროა მოსწავლეთა სპეციალური ვარჯიშობა ზეპირად თარგმნაში თანამედროვე ტექნიკური აპარატურის გამოყენებით.

ლ ე ქ ს ი კ ა

ამ სკოლების მოსწავლეებმა 10 წლის განმავლობაში მტკიცედ უნდა შეითვისონ 4500 სიტყვა და ფრაზეოლოგიური შესიტყვება, რათა პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად პრაქტიკულად დაეუფლონ უცხო ენას.

სიტყვათა აღნიშნული რაოდენობა (მათ შორის ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი) მოსწავლეებმა ისე უნდა შეითვისონ, რომ შესძლონ როგორც ტექსტში და საუბრისას მათი გაგება, ისე თავისუფლად ხმარება ზეპირ და წერით მეტყველებაში.

მოსწავლეებმა უნდა შესძლონ თითოეული სიტყვისა და ფრაზეოლოგიური შესიტყვების:

- ა) სწორად წარმოთქმა და წაკითხვა;
- ბ) კითხვისას და მოსმენით გაგება;
- გ) უცხო ენიდან დედაენაზე და დედაენიდან მათი შესატყვისების პირუქუ თარგმნა;
- დ) სიტყვებისაგან პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული ფორმების წარმოება;
- ე) მათი ხმარება სკოლაში შესწავლილ სხვა სიტყვებთან.

სიტყვების ახსნისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მათ მნიშვნელობას და ხმარებას, ასევე მათ შემადგენლობას, ბგერით მხარეს და გრაფიკულ ფორმას.

ლიტერატურის, გეოგრაფიის და ისტორიის უცხო ენაზე სწავლების მეტი ეფექტურობისათვის აუცილებელია სწავლების პირველი 4 წლის განმავლობაში მოსწავლეები თანდათანობით ენგელოდნენ უცხო ენაზე არა მარტო სიტყვების და გამოთქმების გაგებას, არამედ ეცნობოდნენ ახალ ცნებებსაც. ამისათვის, სწავლების პირველი 4 წლის განმავლობაში ლექსიკურ მინიმუმში შეტანილ უნდა იქნას ზოგადი ცნებების გამოხატველი დიდი რაოდენობა

ისეთი სიტყვებისა, როგორცაა „ცხოველები“, „საგნები“, „პირი“, „მცენარეები“ და სხვ.

შემდგომში უცხო ენაზე ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის შეთვისების გაადვილების მიზნით ასევე აუცილებელია რომ უკვე V კლასიდან ენის სახელმძღვანელოებში განსაზღვრული რაოდენობით იქნეს შეტანილი ლიტერატურულ, ისტორიულ და განსაკუთრებით გეოგრაფიულ თემატიკაზე აგებული აუცილებელი ტერმინების შემცველი ფაბულიანი ტექსტები.

სწავლების მეორე ეტაპზე, ე. ი. V-დან VIII კლასის ჩათვლით ხდება სიტყვათა მარაგის შემდგომი გაფართოება, რომელიც დაკავშირებული უფრო დიდი მოცულობით დამოუკიდებელ კითხვასა და ახალი ცნებების შეთვისებასთან. სწავლების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას სიტყვათწარმოებაზე და უცხო ენასა და დედაენაში საერთო ძირის სიტყვების დადგენას, ასევე წინათ შესწავლილი სიტყვების სხვა მნიშვნელობათა შესწავლას.

სწავლების დასასრულისათვის მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ მეტყველების ორ სტილზე—სალაპარაკო და წიგნის სტილზე და აგრეთვე ლექსიკის იმ თავისებურებებზე, რომელიც დამახასიათებელია თითოეული მათგანისათვის.

გ რ ა მ ა ტ ი კ ა

ამ ტიპის სკოლებში გრამატიკის სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. გრამატიკის როლი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს სხვისი მეტყველების ზუსტად გაგებაში. ტექსტის კითხვასა და თავისი აზრის უცხო ენაზე სწორად გადმოცემაში როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმაში. ამიტომ პროგრამაში შეტანილია მხოლოდ ის მასალა, რომლის გარეშეც მოსწავლეები ვერ შესძლებენ წერას, კითხვასა და ზეპირმეტყველების ცოდნა-ჩვევების დაუფლებას თვითეული კლასისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნათა ფარგლებში. გრამატიკული მასალა განაწილებულია პროგრამაში კლასების მიხედვით, იმ ცოდნა-ჩვევების გათვალისწინებით, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები.

იმისათვის, რომ X—XI კლასის მოსწავლეებმა შესძლონ ენის თავისუფლად გამოყენება, გრამატიკული მასალის შესწავლა უნდა დამთავრდეს IX კლასში.

პროგრამაში ყოველი კლასის „გრამატიკულ“ განყოფილებაში შეტანილია მხოლოდ ის გრამატიკული მოვლენები, რომლებიც ვრცელდება სიტყვების მრავალრიცხოვან ჯგუფებზე. ეს მოვლენე-

ბი სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი და განზოგადებული წესის სახით. მანამდე, სანამ ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის განსაზოგადოებლად არ არის საკმარისი ლექსიკური მასალა, ესინი შესწავლებიან, როგორც სიტყვის გრამატიკული ფორმები: მსმსმსა მეტყველო ქცევები. ასეთ შემთხვევაში სიტყვების გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები შეტანილია „ლექსიკის“ განყოფილებაში. სამეტყველო ერთეულებისა და სიტყვების ცალკეული ფორმების შემდგომი დაგროვების შემდეგ მომდევნო კლასებში ხდება მათი განსაზღვრება წესის სახით და „გრამატიკის“ განყოფილებაში შეტანა.

გრამატიკული მოვლენები, რომლებიც სიტყვათა ზოგიერთ ჯგუფზე ან მხოლოდ ცალკეულ სიტყვებზე ვრცელდება, დასწავლილ უნდა იქნეს ზეპირად შესასწავლ სიტყვებთან ერთად, როგორც ამ სიტყვების ცალკეული ფორმები. სიტყვების ეს ფორმებიც შეტანილია „ლექსიკაში“.

სინტაქსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებმა არა მარტო შესწავლონ საერთო სტრუქტურული მოდელები, არამედ შეითვისონ აგრეთვე კონკრეტული შესაძლებელი ნიმუშებიც.

გრამატიკული მოვლენების ახსნა უნდა ხდებოდეს ნაცნობ ლექსიკაზე. II, III და ნაწილობრივ IV კლასშიც მასალის ახსნა და წესების ფორმულირება ძირითადად დედაენაზე უნდა ხდებოდეს. III კლასიდან საჭიროა მეტყველების ნაწილებისა და წინადადებების წევრების უცხო ენაზე დასახელების თანდათანობით შემოტანა, მას შემდეგ, როცა ეს ცნებები შესწავლილია დედაენაში. V კლასიდან კი ახალი გრამატიკული მოვლენების ახსნა და წესების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მხოლოდ უცხო ენაზე, რაც ხელს შეუწყობს თარგმნის გარეშე უცხო ენის გაგების ჩვევის განვითარებას და გაზრდის უცხო ენის გამოყენების შესაძლებლობას ახალი ცოდნის ათვისებისა და ახალი ცნებების წარმოებისათვის.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა გრამატიკული ფორმა და კონსტრუქცია მოსწავლეებმა უნდა აითვისონ ისე, რომ შეეძლოთ:

ა) მათი მნიშვნელობის გაგება ტექსტის წაკითხვისა და უცხო ენაზე მეტყველების მოსმენისას.

ბ) მათი გამოყენება თავიანთი აზრების ზეპირად და წერილობით გადმოცემისას.

რადგან გამოორება და სისტემატიზაცია მეთოდურ ხერხებს წარმოადგენს, ამიტომ პროგრამაში მათ შესახებ არაფერია ნათ-

ქვაში. მასწავლებელმა მოთხოვნების დაგვარად უნდა მოახდინოს
ადრე შესწავლილი თემების ძირითადი საკითხების სისტემატიზა-
ცია. ამ მიზნით მან უნდა გამოიყენოს განმაზოგადებელი ^{ეცხრეული}
ლები და სქემები. 212

ფონეტიკა, კითხვის წესები და ორთოგრაფია

კითხვისა და წარმოთქმის წესები მოსწავლეებმა უნდა აითვი-
სონ ისე, რომ შეეძლოთ:

ა) სწორად წარმოთქვან და წაიკითხონ ყველა ის სიტყვა და
შესიტყვება, რომელთა შესწავლა გათვალისწინებულია პროგრამით;

ბ) სწორად წარმოთქვან და წაიკითხონ ყველა სიტყვა და შე-
სიტყვება, რომელიც შესწავლილ წესებს ემორჩილება;

გ) სწორად წარმოთქვან წინადადებები ხმამაღალი და ზები-
რი მეტყველების დროს, ინტონაციის ძირითადი ნორმების დაცვით.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ყველა შესწავლი-
ლი სიტყვის სწორად წერა.

მუშაობა წარმოთქმის გასაუმჯობესებლად უნდა ტარდებო-
დეს უცხო ენის შესწავლის მთელი კურსის მანძილზე.

II კლ ა ს ი

პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები ინგლისურ ენაში

I. ზეპირმეტყველება

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ა) მასწავლებლის საუბრის გაგება, რომელიც შეეხება საკლასო ვითარებას და შესწავლილ თემატიკას;
- ბ) დამუშავებული თემატიკისა და შეთვისებული ენობრივი მასალის ფარგლებში კითხვებზე პასუხის გაცემა;
- გ) მასწავლებლის მიერ დასმული საკვანძო კითხვების მიხედვით სურათების აღწერა და მათი შინაარსის მიხედვით კითხვების დასმა;
- დ) თემასთან დაკავშირებით მოკლე, ზეპირი თხრობა;
- ე) ლექსებისა და შესწავლილი მოთხრობების ზეპირად თქმა.

II. კ ი თ ხ ვ ა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ა) შესწავლილი ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა სრული გაგებით, სწორი ინტონაციისა და გარკვეული დიქციის დაცვით;
- ბ) უცნობი სიტყვების წაკითხვა, რომელიც ემორჩილება შესწავლილი კითხვის წესებს.

III. წ ე რ ა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ა) ინგლისური ასოებისა და სიტყვების კალიგრაფიულად სწორად დაწერა;
- ბ) ხელნაწერი და დაბეჭდილი ტექსტების გადაწერა;
- გ) სიტყვებისა და მოკლე წინადადებების დაწერა კარნახით;
- დ) შესწავლილი გრამატიკული მასალისა და გავლილი თემატიკის გამოყენებით წერილობით კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა.



1. სკოლა. სასწავლო ნივთები. კლასის აღწერა, სკოლის აღწერა, სკოლის და ეზოს აღწერა. ბავშვები სკოლაში. თამაშობანი (ეზოში).

2. სახლში. ოთახი. საცხოვრებელი ადგილი. მე და ჩემი ამხანაგი. ჩემი ოჯახი. ჩემი დღე. ჩემი საყვარელი სათამაშოები. ჩემი საყვარელი თამაშობანი.

3. ქალაქი და სოფელი. შინაური და სასოფლო სამეურნეო ცხოველები.

4. ბუნება. დღეების, კვირების და წელიწადის დროების დასახელება. ადგილობრივი საგნების დასახელება (ტყე, მდინარე, მინდორი, მთები და ა. შ.).

მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევები

ლ ე ქ ს ი კ ა

სიტყვათა მარაგი—350 სიტყვა და ფრაზეოლოგიური შესიტყვება მათ შორის:

ა) სიტყვები: I, he, she, it, we, you, they; my, his, her, our, your, their; me, him, her, it, us, you, them; this, that; what? who? where? when? in, on, on (დროის), at, at (დროის); to, into, from, out of, under, with, of, about; and, or, but.

ბ) შესიტყვებები: to be present, to be absent, to be on duty, to be ready, to be late, to be ill, to be well, to be tired, to be hot, to be cold, to be hungry, to be thirsty, to be happy, to be... years old, to go to bed, to be in bed, to be asleep, to go home, to go to school, to come home, to come to school, to come in, to get out, to get up, to stand up, to sit down, how many, a lot of.

გ) კონსტრუქციული და მეტყველების ნიმუშები:

How do you do? Good morning (afternoon; evening)!

What colour is the....?

It is cold (warm, hot). It is morning (evening).

It is snowing (raining).

May I come in (go out, take, etc.)?

Shall I read (write, etc.)?

There is a (no) on (in) the-. There are-. There are no-. Is there a?-—Yes, there is.

Are there?-—No, there are not.

How many sounds (letters) are there in the word...?

Let us... Let him (her, them)...

დ) ფართოდ გაერთიანებული ზნეები მხოლოდითი და მრავლობითი ლობითი რიცხვის ყველა პირში შემდეგი ტიპის წინადადებებში

He is (not) reading a book now.

Is he reading a letter?—Yes, he is. No, he is not.

Is he reading a book or a letter?—He is reading a book.

What is he reading?—He is reading a letter.

Where is he sitting?—He is sitting at his desk.

What is he doing?—He is reading.

Who is reading a letter?—Pete is.

He speaks English well. He does not speak French.

Does he speak French?—Yes, he does. No, he does not.

Where does he live?—He lives in Minsk.

When does he get up?—He gets up at... o'clock.

ე) ზნეები: can, have, be მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ყველა პირში შემდგომი ტიპის წინადადებებში:

He can play football well. Can he play chess?

'Yes, he can. No, he cannot.

He has a brother. He has no sister.

Has he a new bag?—Yes, he has. No, he has not.

What has he in his...?

How many sisters has he?

He is a (big) boy. Is he a Russian boy?—Yes, he is. No, is not.

What is this?—It is a... Is this a... or a...?

Where is the...?—The...is on the...

ვ) გაგებისათვის საჭირო გამოთქმები:

Have you finished...?

Spell the word...

You needn't hurry.

Stop talking.

Listen carefully.

Correct his mistakes.

Say it again.

Underline the letter (word)...

Write the phonetic sign (s), the letter..., the word...

Recite the poem.

გრამატიკა

მორფოლოგია



არტიკლი და არსებითი სახელი. არტიკლი. არტიკლის სახე-
ები. განუსაზღვრელი (a, an) და განსაზღვრული (the).

განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლის გამოყენება.
შემდეგი ტიპის წინადადებებში: Take a pencil from the table;
give the pencil to Rose. Take a red pencil (მაგიდაზე ორი ფან-
ქარია) Take the red pencil (მაგიდაზე მხოლოდ ერთი ფანქარია).

არტიკლი არ იხმარება:

ა) ადამიანთა გვარების, სახელებისა და ქალაქების სახელწო-
დებების წინ;

ბ) სიტყვების წინ, რომლებიც ნივთიერებებს გამოხატავენ.
(milk tea);

გ) სიტყვის წინ ჩვენებითი სიტყვების არსებობისას (this pen,
my pencil);

დ) მრავლობით რიცხვში მყოფი ისეთი არსებითი სახელების
წინ, რომლებიც მხოლოდით რიცხვში აუცილებლად დაირთავენ
განუსაზღვრელ არტიკლს;

ე) სიტყვათა ისეთ ფორმებთან, რომლებიც აღნიშნავენ ერთ-
ზე მეტ საგანს (boy-boys, map-maps, box-boxes).

ფონეტიკა

ბგერისა და ასოს ცნება. ფონეტიკური ნიშნის ცნება.

ინგლისური წარმოთქმის თავისებურებას წარმოადგენს ის,
რომ:

ა) არ ყრუვდება ბოლო კიდურები, მგლერი თანხმოვნები,

ბ) არ რბილდება თანხმოვნები,

გ) არსებობს მოკლე და გრძელი ხმოვნები და რთული ხმოვ-
ნები (დიფთონგები).

ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები, მათი წარმოება. მახვილი.
მახვილი სიტყვაში. მახვილი წინადადებაში. წინადადებაში მახვი-
ლი არ დაისმის არტიკლზე და დამხმარე სიტყვებზე. როგორიცაა
მაგალითად: I, he, my, his, on, in, and, or.

ინგლისური ინტონაციის ორი ძირითადი ტონი: დამავალი
და აღმავალი. დამავალი ტონის გამოყენება თხრობით და კითხვით
წინადადებებში, რომლებიც კითხვითი სიტყვებით იწყებიან, აღმა-
ვალი ტონის გამოყენება იმ კითხვით წინადადებებში, რომლებიც
მოითხოვენ პასუხებს. „დიახ“ და „არა“.

ტრანსკრიფცია—საერთაშორისო ფონეტიკური ნიშნების გაცნობა ყველა ხმოვანი და თანხმოვანი ბგერის გამოსახატავად (გარდა მოსაცემად) [θ], [ð], [ɣ], [s], [z], [dʒ], [tʃ], [w], [j].

ანბანი. ინგლისურ ანბანში შემავალი ასოების დასახელებები

კითხვისა და მართლწერის წესები

ხმოვანთა კითხვის წესები სამი ტიპის მახვილიან მარცვალში. ხმოვნის წაკითხვის წესი ორმარცვლიან სიტყვაში, როდესაც მახვილი პირველ მარცვალს ეცემა. (pa-per, pe-ter). ხმოვან ასოთშეერთებათა (დიგრაფების) წაკითხვა ee, ea, ay, ou, oo. ასო y-ის წაკითხვის წესი სიტყვის დასაწყისში, როდესაც იგი ხმოვნის წინაა. (yes, yard) სიტყვის ბოლოს, როდესაც მას მახვილი ეცემა. (my, sky) და უმახვილო მდგომარეობაში. (baby).

ასო i-ს წაკითხვის წესი ისეთი ასოთშეერთებების წინ, რომლებიც არ იკითხებიან gh (light, right). თანხმოვან ასოთშეერთებების წაკითხვის წესი: ch, ck, sh, th, wh, nk, ng.

ცალკეული თანხმოვნების c და s წაკითხვის წესი სხვადასხვა მდგომარეობაში.

გაორკეცებული თანხმოვნების ერთ ბგერად წაკითხვის წესი (apple, kitten).

ინგლისური ანბანის ყველა ასოს დაწერილობა. საკუთარი სახელების და კვირის დღეების აღმნიშვნელი სიტყვების ასომთავრულით დაწერა. ing ფორმის მართლწერა. ბოლოკიდური თანხმოვნის გაორკეცების შემთხვევა ing-იანი ფორმის წარმოებისას.

III კ ლ ა ს ი

პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები ინგლისურ ენაში

I. ზეპირშეტყველება

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) გაგება მასწავლებლის საუბრისა, რომელიც შეეხება საკლასო ვითარებას;

ბ) მასწავლებლის მარტივი განმარტების გაგება (ზოგიერთი ახალი სიტყვისა და გამოთქმის ახსნა);

გ) გაგება მასწავლებლის ნაამბობისა და მის მიერ წაკითხული ნაწარხ თემატიკაზე აგებული უცნობი ტექსტისა;

დ) კითხვებზე პასუხის გაცემა დამუშავებული თემატიკისა და შეთვისებული ენობრივი მასალის ფარგლებში;

ე) კითხვების დასმა შესწავლილი ტექსტების, თემების ან სურათების მიხედვით და მათზე მოკლე და სრული პასუხების გაცემა

ვ) მასწავლებლის საკვანძო კითხვების გარეშე თემატური ან თემატური სურათების აღწერა;

ზ) წინასწარი საკლასო და საშინაო სამუშაოების შესრულების შემდეგ შესწავლილი თემატიკის ფარგლებში მოკლე ინფორმაციის გაკეთება;

თ) ლექსის, შესწავლილი ტექსტებიდან ნაწყვეტებისა და განვილი თემატიკაზე რიგი დიალოგების ზეპირად თქმა.

II. კ ი თ ხ ვ ა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) შესწავლილი ტექსტის ხმამაღალი მხატვრული წაკითხვა;

ბ) დამოუკიდებლად მომზადებული ტექსტის ხმამაღალი წაკითხვა სწორი წარმოთქმითა და ინტონაციის დაცვით და ულექსიკონოდ გაგება ახალი ტექსტისა, რომელიც აგებულია შესწავლილ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალაზე;

გ) დამოუკიდებლად, ტრანსკრიფციის გამოყენებით, წაკითხვა უცნობი სიტყვებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან კითხვის წესებს.

III. წ ე რ ა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) შესწავლილ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალაზე აგებული წინადადებების კარნახით დაწერა;

ბ) კითხვების დასმა და მათზე პასუხების გაცემა სურათებისა და შესწავლილი თემების მიხედვით.

კითხვისა და ზეპირმეტყველების ჩვენების განვითარების თემატიკა

1. სკოლა. სკოლაში მოსვლა, საკლასო ოთახის დალაგება. მორიგეობა კლასში. უცხო ენის გაკვეთილზე. გაკვეთილების შემდეგ სახლში წასვლა.

2. სახლში. ბინის აღწერა. დღის რეჟიმი. დროის გამოხატვა. საკმელი. დაბადების დღე.

3. ქალაქი და სოფელი. ქუჩის, პარკის და ზოობარკის აღწერა.

4. ამინდი. წელიწადის ოთხი დროისა და ამინდის აღწერა. თარიღი. ხილის, ბოსტნეულისა და ყვავილების დასახელება. ზოგიერთი გარეული ცხოველების სახელები.

5. ფიზკულტურა და სპორტი. ზამთრის სპორტისა და თამაშობების სახეები.

6. ადამიანი. გარეგნობის აღწერა. (სხეულის ნაწილები). ტან-საცმელი.

7. საზოგადოებრივი ცხოვრება. 8 მარტისა და 1 მაისის დღე-სასწაული.

8. ხალხური ზღაპრები.



მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევები

ლ ე ქ ს ი კ ა

ლექსიკური მარაგი—700 სიტყვა და ფრაზეოლოგიური შე-სიტყვება¹.

მათ შორის:

ა) სიტყვები

these, those, many, much, all, some, any, no, every, other, another, whom, which, who, how many, how much, then, there, here, because, than.

ბ) თანდებულიანი არსებითი სახელები;

at night, at the begining of, on the way, im the country, to the country, in town, indoors, out-of-doors.

გ) ზმნები და ზმნური შესიტყვებანი:

may, must, let Present Indefinite Tense-ში; to take off; to put on, to go on, to be away, to be over, to go for a walk, to go fishing, to take care of, to stop... ing, to come to see, to be made of, to be born.

დ) ზედსართავი სახელები:

good-better-the best; interesting-more interesting-the most interesting; beautiful-more beautiful-the most beautiful.

ე) რიცხვითი სახელები. რაოდენობითი და რიგობითი. 13-დან 100-მდე. დამხმარე სიტყვები, რომლებიც შეისწავლებიან, როგორც ლექსიკა.

ვ) წინდებულები:

behind, in front of, between, among, before, after, till, from (from two o'clock), past (ten minutes past two), to (ten minutes to five), for (for you), for (for some days), with (with a pen), of (a cup of tea), to (to Mike), about (about somebody, something).

სიტყვაწარმოება:

a pencil box, a blackboard-ის ტიპის რთული არსებითი სა-

¹ აქ და ყველა შემდგომ კლასების სიტყვათა მარაგში შედის ადრე შესწავლილი სიტყვების მარაგიც.

ხელები. სუფიქსი er — არსებითი სახელების საწარმოებლად.
ფიქსი -teen, -ty რიცხვითი სახელების საწარმოებლად.



ქცევები და მეტყველების ნიმუშები:

Ask him if he is ready... is a pupil... is reading.

How do you spell the word...?

What time is it?

I should like to... He would like to...

What is on at the cinema today?

Have you seen Pete today?—Yes, I have.

Have you read this book?—Yes, I have.

Have you done your homework?—Yes, I have.

(ყველა კითხვები Present Perfekt-ში მხოლოდ გაგების შიზნით).

ქვემდებარის, შემასმენლის, არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ზმნის, წინდებულის დასახელება ინგლისურ ენაზე.

გ რ ა მ ა ტ ი კ ა

მორფოლოგია

არტიკლი და არსებითი სახელი

1. არტიკლი. განსაზღვრული არტიკლის გამოყენება არსებითი სახელების წინ, რომელთაც აქვთ განსაზღვრება, გამოხატული ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხით ან რიგობითი რიცხვითი სახელით.

2. არსებითი სახელი. ნათესაობითი ბრუნვა არსებითი სახელებისა, რომლებიც გამოხატავენ სულიერ საგანს მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში.

y-ზე დაბოლოებული არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოება.

3. ზედსართავი სახელი.

ერთმარცვლოვანი ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხების წარმოება -er და -est სუფიქსების დახმარებით.

4. ზმნა Future Indefinite Tense. მტკიცებითი, კითხვითი და უარყოფითი ფორმები.

Future Indefinite-ის გამოყენება ისეთი მოქმედების გამოსახატავად, რომელიც მომავალში მოხდება.

Past Irdefinite Tense. მტკიცებითი, კითხვითი და უარყოფითი ფორმები. Past Indefinite Tense-ის გამოყენება წარსულში

დროის დამთავრებულ მონაკვეთში მომხდარი მოქმედებისა და თანმიმდევრული მოქმედებების გამოსახატავად.



სინტაქსი

მარტივი გავრცობილი წინადადება. მეორეხარისხოვანი წევრების ადგილი წინადადებაში:

იმ წინადადებაში წევრების ადგილი, რომლებიც პასუხობენ კითხვებზე, ვის (რა), ვის (რას), (ჯერ—რა და მერე—ვის), ვის შესახებ, რაზე, რასთან, ვისთან, სად, როგორ, როდის, რატომ.

წინადადებაში იმ სიტყვების ადგილი, რომლებიც პასუხობენ კითხვებზე როგორი, ვისი.

ფონეტიკა

ველა ბგერის არტიკულაცია ინგლისურ მეტყველებაში. მახვილი სამმარცვლიან სიტყვებში. მახვილი წინადადებაში.

წინადადების დაყოფა მეტყველების ტაქტებად. ელემენტარული წარმოდგენა რითმზე. წარმოდგენა ლოგიკურ მახვილზე (Who is on duty today?—I am).

ინტონაცია.

დაღმავალი ტონის გამოყენება ძაბით წინადადებებში.

აღმავალი ტონის გამოყენება წინადადებებში, რომლებიც გამოხატავენ თხოვნას.

აღმავალი ტონის გამოყენება საწყის და საშუალო აზრობრივ ჯგუფებში, რომლებიც არ გამოხატავენ დამთავრებულ აზრს.

ალტერნატიული კითხვის ინტონაცია.

უმახვილო ხმოვნების რედუქციის წესი. ასოები:

a \	e \
o — [ə]	i — [ɪ]
u /	y /

კითხვისა და ორთოგრაფიის წესები.

ხმოვნების წაკითხვა მე-4 ტიპის მარცვალში.

ხმოვანი დიგრაფების წაკითხვა, რომლებსაც მოსდევს ასო r: air, ear, eer, ear (იკითხება მხოლოდ პირველი ხმოვანი მარცვლის დიგრაფი მე-4 ტიპის მიხედვით: chair, dear, deer).

ასო a-ის წაკითხვის წესები ზოგიერთ თანხმოვან ასოთშეხამებებთან: a [l]-ის წინ + თანხმოვანი = [a:] (ball, chalk).

ასო l k ის წინ მუნჯია; a, w, wh-ის შემდეგ (want, what); a+s-ის წინ + თანხმოვანი (ask, pass, past).

ასო ი-ს და i-ს წაკითხვა ld-ს წინ (old, cold,—ild).

გრაფიკული დამარცვლის წესი და ორმარცვლიანი სიტყვების

წაკითხვა;

ა) დამარცვლის საზღვარზე ასო I-ს მონაწილეობის pen-cil, o-pen;

ბ) ასო l-ის მონაწილეობით დამარცვლის საზღვარზე: ta-ble, bab-ble.

მახვილის ადგილის განსაზღვრის საერთო წესი ორმარცვლოვან არსებით სახელებში, აგრეთვე ზედსართავ სახელებში, რომლებსაც არა აქვთ პრეფიქსები: ba'bu, lit tle.

ხმოვნების წაკითხვა უმახვილო მარცვლებში.

